ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

2017

PHR
ჰარტნიორობა
ადამიანის
უფლებებისთვის

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანასწორობის უზრუნველსაყოფად

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“
ანგარიში
(მარტი 2016 - ივნისი 2017)

2017

ავტორები:

ანა აბაშიძე
ანა არგანაშვილი
თამარ შველიძე
ანა სალდაძე

რედაქტირება:
თამარ კურატიშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

PHR
პარტნიორობა
ადამიანის
უფლებებისთვის

წინამდებარე ანგარიში გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 5

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია 7

დისკრიმინაციის ამკრძალავი შიდასამართლებრივი ნორმები 7

დისკრიმინაციის ამკრძალავი საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები 8

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი 8

რა ითვლება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციად.....10

პირდაპირი დისკრიმინაცია.....11

კ.ნ.-ის საქმე: მომსახურების დისკრიმინაციული ფასის დაწესება
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის 11

გ.ბ.-ის საქმე: კერძოსამართლებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში
დისკრიმინაციის თაობაზე.....12

დ.ხ.-ს საქმე: სამართალდამცავთა მხრიდან დისკრიმინაციული და ა
რასათანადო მოპყრობის თაობაზე 14

კ.ნ.-ის საქმე: თბილისის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, ქონებრივი ნიშნით
პირდაპირი დისკრიმინაციის განხორციელების თაობაზე 15

პირდაპირი დისკრიმინაციის საქმეებში გამოვლენილი პოზიტიური ტენდენციები და გამოწვევები 17

სასამართლოს მსჯელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ
ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების აუცილებლობის შესახებ 17

სასამართლოს მსჯელობა ხელმისაწვდომობაზე - ანუ ვინ იხდის ხელმისაწვდომობის
უზრუნველსაყოფად ფასს 19

სასამართლოს მსჯელობა მტკიცების ტვირთის გადატანის შესახებ 21

სასამართლოს მსჯელობა განსჯადობაზე 22

ირიბი დისკრიმინაცია 23

ს.ქ.-ს საქმე: სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
ბავშვის მიმართ ირიბი დისკრიმინაციის განხორციელების თაობაზე 23

სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის (Amicus Curie) პოზიცია ს.ქ.-ს
საქმეზე - ირიბი დისკრიმინაციის დადგენისა და მტკიცების ტვირთის განაწილების
საკითხებზე 25

სასამართლოს მეგობრის წარდგენის სამართლებრივი საფუძვლები 25

გონივრული მისადაგების პრინციპი 27

გონივრული მისადაგების პრინციპის არსი და მიმართება კანონმდებლობასთან 27

გონივრული მისადაგების პრინციპის განვითარების ისტორიული პერსპექტივა 28

სხვაობა გონივრული მისადაგებისა და მისაწვდომობის პრინციპს შორის 30

დ.ფ.-ს საქმე: სკოლის ვალდებულება სასკოლო განრიგის
გონივრული მისადაგების კუთხით 32

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განათლების
უფლების ხელმისაწვდომობაზე გონივრული მისადაგების უზრუნველყოფით 33

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის
მიერ განხილული საქმე ბანკომატების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა
და გონივრულ მისადაგებაზე 34

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის
მიერ განხილული საქმე მშენებლობის ნებართვისა და გონივრული
მისადაგების საკითხზე 35

დასკვნა 36

რეკომენდაციები: 39

შესავალი

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი
თავისი ღირსებითა და უფლებებით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,
1948 წელი

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რაც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული სამართლებრივი სივრცის მოდერნიზაციის მიმართულებით. აღნიშნული, კიდევ უფრო, აძლიერებს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის უფლების დაცვის სტანდარტს და წარმოადგენს დარღვეული უფლებების აღდგენის დამატებით მექანიზმს.

მიუხედავად ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისა, მისი აღსრულების სამწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დისკრიმინაციისგან დაცვა, კვლავ მწვავე პრობლემად რჩება სხვადასხვა სოციალური იდენტობის ნიშნის მატარებელი ჯგუფისთვის. მათ შორის არიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთაც ყოველდღიურად უწევთ ბრძოლა, გარემოს მისაწვდომობის, საზოგადოებაში ინკლუზიის, საჯარო თუ კერძო სერვისებით სარგებლობისთვის.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ერთწლიანი მუშაობის გაანალიზების საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების პოზიტიური მაგალითების განხილვა. ასევე, იმ ხარვეზების გამოვლენა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისგან დაცვას ნაკლებეფექტურს ხდის. დოკუმენტი დაინტერესებულ პირებს, აგრეთვე, სთავაზობს რეკომენდაციებს საკანონმდებლო მოწესრიგებისა და აღმასრულებელი მექანიზმების გაუმჯობესების შესახებ.

ანგარიშის თავისებურებას მკითხველზე ორიენტირებული ენა წარმოადგენს. ორგანიზაციის სურვილია, ანგარიშის წაკითხვა და პრაქტიკაში გამოყენება შეძლონ როგორც იურისტებმა, ასევე, იურიდიული განათლების არმქონე იმ პირებმა, ვისი უფლებების დაცვის საკითხებსაც მოიცავს ტექსტი.

ანგარიში, მეთოდოლოგიურად, შედგენილია იმ რეალური სასამართლო საქმეების ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორგანიზაციამ, ბოლო წლის მანძილზე, აწარმოა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გამოყენების გზით. განხილულია საქმეები, რომელთა შესახებაც საქართველოს საერთო სასამართლოებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება. ასევე, ანგარიშში შესულია ის საქმეებიც, რომელთა განხილვის შემდეგაც საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია, ან სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით, მიმართა საერთო სასამართლოებს. შედარებითი სამართლებრივი პერსპექტივის წარმოჩენის მიზნით, ანგარიშში, ასევე, აღწერილია დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის შესახებ ადა-

მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ განხილული საჩივრები.

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის გარემოება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტზე, გასულ წელს დაწყებული არაერთი სამართალწარმოება ჯერაც არ დასრულებულა. შესაბამისად, მათი უმეტესობა ვერ მოხვდა ანგარიშში, რამაც, ბუნებრივია, გავლენა იქონია კვლევაში განსახილველ საკითხებზე. ორგანიზაცია, აღნიშნული გამოწვევის აღმოფხვრას, სამომავლოდ, პუბლიკაციების გამოცემით გეგმავს, სადაც, კიდევ უფრო ფართოდ და სრულყოფილად განიხილავს დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიღწევებსა და გამოწვევებს საქართველოში.

ანგარიშის ავტორები მადლიერებას გამოხატავენ თითოეული იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც ავტორებს შესაძლებლობა მისცეს, პუბლიკაციაში აღეწერათ მათ მიმართ განხორციელებული უთანასწორო მოპყრობის შემთხვევები და ცხოვრება გაეადვილებინათ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ორგანიზაცია განსაკუთრებულ მადლობას უხდის **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლებს,** რომლებიც, მუშაობის პროცესში, ერთ-ერთ ყველაზე საიმედო პარტნიორებს წარმოადგენენ. სწორედ, მათი დისკრიმინაციასთან ბრძოლის მაგალითი, გადამდები და გამამხნევებელი აღმოჩნდა სხვა არაერთი მშობლისათვის. ავტორები, ასევე, მადლიერებას იმ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** მიმართ გამოვხატავთ, რომლებმაც ირწმუნეს, რომ ქვეყანაში დემოკრატიისა და მართლმსაჯულების განვითარებისთვის აუცილებელია, წვლილი შეიტანონ დისკრიმინაციის ფაქტებზე ხმის ამაღლებით. ორგანიზაცია მადლობელია, მათი იურისტების მიმართ გამოხატული ნდობისთვის. ანგარიშის ავტორები განსაკუთრებულ მადლიერებას გამოთქვამენ **საქართველოს სახალხო დამცველისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ფარგლებში მომუშავე ადამიანის უფლებადამცველი იურისტებისადმი,** რომლებიც აქტიურად და გულისხმიერად მუშაობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისგან დაცვის მიმართულებით. მადლობას ვუხდით, ასევე, **„კოალიცია თანასწორობისთვის“** წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლის წევრებთან დებატებისა და მსჯელობის შედეგად, არაერთი საქმის წარმატებულად დასრულების იდეა გაჩნდა. სწორედ ამ კოალიციის წევრი ორგანიზაციების ძალისხმევით, იქმნება საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების პირველი პრეცენდენტები ქვეყანაში. დაბოლოს, აღნიშნული პუბლიკაციის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა დონორი ორგანიზაციის - ფონდი **„ღია საზოგადოება - საქართველოს“** მხარდაჭერის გარეშე, რომლის თითოეული თანამშრომელი გულისხმიერად და ერთგულად აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების წევრებს ქვეყანაში თანასწორობისა და ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად.

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია

წინამდებარე თავი მოკლედ მიმოიხილავს დისკრიმინაციისგან დაცვის ეროვნულ, რეგიონალურსა და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. განმარტავს, თუ ვინ მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად და რა შემთხვევაში არის სახეზე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია.

დისკრიმინაციის ამკრძალავი შიდასამართლებრივი ნორმები

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის კონსტიტუციურ ნორმა/პრინციპს, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კონსტიტუციით გარანტირებული ყველა უფლებით თანასწორ სარგებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში, კლასიკურ ნიშანთა შორის, არ არის მოხსენიებული შეზღუდული შესაძლებლობა ან პირები, რომლებიც ფლობენ სხვადასხვა ფორმის შეზღუდულ შესაძლებლობას, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა[1], რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განეკუთვნებიან „სოციალურ ჯგუფს", ხოლო სოციალური კუთვნილება - დისკრიმინაციისგან დაცვის კლასიკური ნიშანია[2]. ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობა, საქართველოს კონსტიტუციისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიზნებისთვის, კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს.

კონსტიტუციის პრინციპს საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანსა და სულისკვეთებას. კანონის მიზანია - *„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა".*

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლებს, კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას და მიუთითებს ამგვარი ქმედების დასჯად ხასიათზე.[3]

---

[1] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" , #2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი.

[2] იქვე, გვ 76, პარა. 114.

[3] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1, პუნქტი 2.

დისკრიმინაციის ამკრძალავი საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები

დისკრიმინაციის აკრძალვასა და თანასწორობის პრინციპს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა მომწესრიგებელ საერთაშორისო დოკუმენტებში. მათ შორის, ეფექტურობის თვალსაზრისით გამოვყოფთ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას", რომლის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმი უზრუნველყოფს, თავად კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და კონვენციის მონაწილე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით თანასწორ სარგებლობას.

მეორე მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტს წარმოადგენს გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია" (შემდგომში "UN CRPD")[4]. კონვენცია, წევრ სახელმწიფოებს, ავალდებულებს, უზრუნველყონ კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორუფლებიანობა. მონაწილე ქვეყნების მთავრობებმა უნდა გამოიყენონ ყველა ზომა, მათ შორის, საკანონმდებლო, აღნიშნული მიზნის მისაღწევად. კონვენცია, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციისგან დაცვაზე, ასევე, სახელმწიფოებს მოუწოდებს, თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მიიღონ შესაბამისი ზომები გონივრული მისადაგების პრინციპის დასანერგად[5].

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის" თანახმად[6], შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წარმოადგენენ ადამიანები, რომელთაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რამაც სხვადასხვა სახის დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სხვების თანასწორად მათ სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღნიშნული დეფინიცია ხაზს უსვამს და განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით პარადიგმულ და ფილოსოფიურ ცვლილებას, რამაც ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოზეც. კერძოდ, საუკუნეების განმავლობაში აღიარებული სამედიცინო მოდელის მიხედვით, შეზღუდულ შესაძლებლობა განიხილებოდა მხოლოდ დიაგნოზზე დაყრდნობით, ხოლო, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

[4] კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2014 წლის დეკემბერში, რის შემდეგაც მას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა ქვეყნის მასშტაბით.

[5] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 5

[6] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 1

პირი, წარმოჩენილი იყო ქველმოქმედების ობიექტად[7]. ახალი კონვენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობა გამომდინარეობს იმ გარემო ბარიერებიდან, რომელსაც ამა თუ იმ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი აწყდება; ბარიერები კი, განაპირობებს ამ პირის საზოგადოებაში ინკლუზიის ხელშემშლელ პირობას, ანუ ირღვევა მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. შესაბამისად, ახალი პარადიგმით, რომელსაც მხარს უჭერს გაეროს კონვენცია, შეზღუდული შესაძლებლობა განიმარტება ადამიანის უფლებებისა და სოციალური მოდელის კონტექსტში, რომელიც ორიენტირებულია ბარიერების შემცირებაზე და, ამ გზით, ადამიანის უფლებების რეალიზებაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კონვენციური დეფინიცია, ბოლო წლებში, გაჩნდა საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაშიც[8]. თუმცა, საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში, ჯერ კიდევ, გვხვდება შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელის მიხედვით განსაზღვრებაც, რაც არ შეესაბამება კონვენციის სტანდარტს. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის მიზნებისათვის, კანონმდებლობა, ჯერაც, ამახვილებს ყურადღებას ორგანიზმის ფუნქციურ დარღვევებზე (დიაგნოზიდან გამომდინარე) და ამ დარღვევის სიმძიმის მიხედვით - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს 4 ჯგუფად ყოფს[9]:

1. შესაძლებლობის უმნიშვნელო შეზღუდვის მქონე პირი;
2. შესაძლებლობის ზომიერი შეზღუდვის მქონე პირი;
3. შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე პირი;
4. შესაძლებლობის მკვეთრი შეზღუდვის მქონე პირი.

აღნიშნულ ჯგუფებს მიკუთვნებული პირები განსხვავებულად სარგებლობენ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური თუ სხვა სახის სარგებლით. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ გაეროს კონვენციის სტანდარტით, დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებები თანაბრად ვრცელდება ოთხივე ჯგუფის წარმომადგენელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე; უფრო მეტიც, ვრცელდება მათზეც, ვისაც ეროვნული კანონმდებლობით არ მინიჭებიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოფიციალური სტატუსი, მაგრამ აკმაყოფილებენ კონვენციის ძირითად კრიტერიუმებს.

[7] UN Office of the High Commissionaire (2014). The Convention on the Rights of Persons with Disabilities, Training Guide, Professional Training Series #19. P. 9-10.

[8] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2;

[9] „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართ-ველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1/ნ, მუხლი 6, პუნქტი 2

რა ითვლება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციად

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი სტანდარტის განხილვის დროს, პირველ რიგში, უნდა მოვიყვანოთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რეგულაციები, როგორც საქართველოს კონსტიტუციის შემდგომ უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რასაც უნდა მიესადაგებოდეს ყველა სხვა კანონი ქვეყნის მასშტაბით.

კონვენციის თანახმად[10] დისკრიმინაცია განსაზღვრულია, როგორც:

„ყველანაირი განსხვავება, გამორიცხვა ან შეზღუდვა, რომლის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად, ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა. შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას ***გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის ჩათვლით“.***

დისკრიმინაციის შინაარსისა და მისი სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრის შესახებ ზოგად განმარტებას ვხვდებით საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის მე-2 მუხლში მოცემულია პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) დისკრიმინაციის დეფინიცია:

1. **„პირდაპირი** *დისკრიმინცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის* **[იგულისხმება შეზღუდული შესაძლებლობაც]** *გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად“.*

2. *„ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმიანციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო* **[მათ შორის შეზღუ-დული შესაძლებლობა]** *ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვა-*

[10] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2.

რი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად".

როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ანტიდისკრიმინაციული კანონი საკმაოდ ვრცლად განმარტავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას, რომელშიც, ასევე, მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით უთანასწორო მოპყრობის აკრძალვა. მიუხედავად ამისა, კრიტიკა მიემართება კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს, რაც გულისხმობს გონივრული მისადაგების პრინციპს და მისი გამოუყენებლობის სამართლებრივი შეფასების ღიად დატოვებას. აღნიშნული ხარვეზები შემდეგ თავებში დეტალურად იქნება განხილული.

პირდაპირი დისკრიმინაცია

2 წლის განმავლობაში, ორგანიზაციის სამართლებრივ წარმოებაში მოექცა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის არაერთი საქმე, რომელიც წარმატებული შედეგით დასრულდა. საქმეები განიხილეს როგორც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა, ისე სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციულმა მექანიზმმა. მათ შორის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია რამდენიმე საქმე, რომელთაც განვიხილავთ:

კ.ნ.-ს საქმე: მომსახურების დისკრიმინაციული ფასის დაწესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

კ.ნ.-მ 2015 წლის 04 აგვისტოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს დისკრიმინაციის პირდაპირი ფორმის დადგენისა და აღმოფხვრის მიზნით მიმართა. დავის არსი ეხებოდა ბათუმის დელფინარიუმის (შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი) მიერ დელფინებთან ინტერაქციის მსურველების კატეგორიებად კლასიფიკაციასა და სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლისთვის განსხვავებული ფასის განსაზღვრას. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დელფინებთან კონტაქტი, სხვებთან შედარებით, უფრო ძვირად - 160 ლარად იყო განფასებული, ხოლო დანარჩენი მომხმარებლებისთვის - 150 ლარად. საქმეში მოპასუხედ, ასევე, მითითებული იყო ქალაქ ბათუმის მერია, რომლის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა დელფინარიუმი.

კ.ნ.-ს საქმეზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა პირდაპირი დისკრიმინაცია და ბათუმის დელფინარიუმს დაავალა, დელფინებთან ინტერაქციისთვის თანაბარი ფასის

დაწესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე მომხმარებლებისთვის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში[11] ვკითხულობთ:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დელფინებთან ინტერაქციისთვის მომსახურების განსხვავებული საფასურის დაწესებას არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, არ ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და ის დისკრიმინაციულია“.

ლ.ბ.-ს საქმე: კერძოსამართლებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში დისკრიმინაციის თაობაზე

მოსარჩელე ლ.ბ.-მ, რომელიც სამი შვილის დედაა, 2016 წლის 13 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ქირავნობის ურთიერთობის ფარგლებში პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად მიმართა. ლ.ბ-ს თანახმად, მის 7 წლის შვილს აღენიშნება შეზღუდული შესაძლებლობა, რაც ბინის გამქირავებლისთვის ქირავნობის უკანონოდ შეწყვეტის საფუძველი გახდა. კერძოდ, ლ.ბ.-მ და მისმა ოჯახმა 2015 წლის 30 სექტემბერს, თბილისის ერთ-ერთ რაიონში, დაიქირავა 23მ^2 ფართის ბინა, რის სანაცვლოდაც, ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, ბინის მესაკუთრეს გადაუხადა 300 ლარი.

2015 წლის 1-ელ ოქტომბერს, მოსარჩელის ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა დაქირავებულ ბინაში. გადასვლიდან პირველივე ღამეს 7 წლის ბავშვმა იტირა. 2015 წლის 3 ოქტომბერს, გამქირავებელმა დედას განუცხადა, რომ არ სურდა ბავშვის ტირილის მოსმენა, ასევე, მიიჩნევდა, რომ ბავშვი მისი შეზღუდული შესაძლებლობის (აუტისტური სპექტრის მქონე) გამო, აუცილებლად გააჩენდა ხანძარს და მოითხოვა, საცხოვრებელი ბინის დაუყოვნებელი დაცლა. დღის ბოლოს, ლ.ბ. იძულებული გახდა, დაეტოვებინა მის კანონიერ მფლობელობაში მქონე ფართი.

გამქირავებელმა, ასევე, შექმნა კონფლიქტური სიტუაცია, რომლის განსამუხტადაც ოჯახის ახლობელმა გამოიძახა პოლიცია; ასევე, დახმარებისთვის მიმართა სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. კონფლიქტისა და გამქირავებლის მხრიდან მრავალჯერადად გამოვლენილი ვერბალური აგრესიის შემსწრე გახდა 7 წლის გ.ბ. - რომელსაც განუვითარდა მძიმე ემოციური სტრესული რეაქცია და დაეწყო თვითდამაზიანებელი ქცევა. ბავშვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

აღნიშნულ საქმეზე, მოსარჩელის სახელით, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით მიმართა საქართველოს სახალხო

[11] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება #010210015001061645, #2/2054-2015.

დამცველს, რომელმაც 2015 წლის 7 დეკემბერს დაადგინა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია და რეკომენდაციით[12] მიმართა მოპასუხე ლ.გ.-ს ქირავნობის ურთიერთობაში დისკრიმინაციისგან თავის შეკავების მოთხოვნით. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ:

„ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა იმ მოტივით, რომ ბავშვი არის აუტისტური სპექტრის მქონე, მესაკუთრეს არ სურს ბავშვმა მის მიერ გაქირავებულ სახლში იცხოვროს, ასევე ის მცდარი და სტერეოტიპული შეხედულება, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი აუცილებლად რამეს დააზიანებს ან/და დააშავებს, ვერ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმურ მიზნად. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში კი, განსხვავებული მოპყრობა ვერ იქნება მიჩნეული გამართლებულად“.

ორგანიზაციამ, ასევე, დისკრიმინაციის დადგენისა და აღმოფხვრის მიზნით, სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა: - 7 წლის გ.ბ.-ს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა; 7 წლის გ.ბ.-ს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზიანის დაკისრება მოპასუხისთვის; 7 წლის გ.ბ.-ს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის დაკისრება მოპასუხისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. კერძოდ, დადგენილად მიიჩნია გამქირავებლის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტი. მოპასუხეს ბავშვის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა 1000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში[13] ვკითხულობთ:

„როგორც სასამართლომ დაადგინა, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხესა და გ.ბ.-ს დედას შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამის ანაზრაურებას ლ.გ. რეგულარულად იღებდა. მოცემულ შემთხვევაში, ლ.გ.-ს მხრიდან, 2015 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების ფაქტობრივი შეწყვეტის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა და მოპასუხის მხრიდან გ.ბ.-ს ოჯახის დაქირავებული ფართიდან გამოძევება განხორციელდა მხოლოდ მოსარჩელის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო. სასამართლოს მოსაზრებით, ლ.გ.-ს მხრიდან მოსარჩელის დედასთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა იმ მოტივით, რომ გ.ბ. არის აუტისტურ სპექტრს მიკუთვნებული ბავშვი, წარმოადგენს მოსარჩელე პირის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას“.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სა-

[12] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 7 ნოემბრის რეკომენდაცია.

[13] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, #2/56-16,

სამართლოში, თუმცა, მეორე ინსტანციის სასამართლომ, გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა[14].

დ.ხ.-ს საქმე: სამართალდამცავთა მხრიდან დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის თაობაზე

2016 წლის 15 ივნისს, დ.ხ. მეგობრებთან ერთად, ღამის საათებში, ავტომობილით მგზავრობდა თბილისიდან - ქუთაისის მიმართულებით. საპატრულო პოლიციამ მოითხოვა ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის შემოწმება, რა დროსაც, დ.ხ.-ს თანამგზავრებსა და საპატრულო პოლიციას შორის შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია. დ.ხ. - რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის გამო ეტლით მოსარგებლეა, საპატრულო პოლიციასთან რამდენიმე საათიანი კომუნიკაციის პროცესში, ვერ ახერხებდა მანქანიდან გადმოსვლას. მიუხედავად მისი მოთხოვნისა, სამართალდამცავებმა არ მისცეს საბარგულში მოთავსებული ეტლით სარგებლობის საშუალება. დ.ხ. მობილობის შეზღუდვისა და პოლიციელთა მხრიდან მანქანიდან გადმოსვლის აკრძალვის გამო, დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, თუმცა, საბოლოოდ, იძულებული გახდა, მოთხოვნილება ადგილზე, მანქანაში დაეკმაყოფილებინა. დაახლოებით, 3 საათის განმავლობაში, დ.ხ. იმყოფებოდა მანქანაში სველ მდგომარეობაში, რა დროსაც, გაურთულდა ქრილობა (ნაწოლი), თავს გრძნობდა ღირსებაშელახულად და დამცირებულად. აღნიშნულს ადასტურებს მოწმეების ახსნა-განმარტებები, პოლიციელების სამხრე კამერებით ჩაწერილი ვიდეოჩანაწერები და სხვა მტკიცებულებები.

აღნიშნული მოვლენების გამო, დ.ხ.-ს მოთხოვნით, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, პარტნიორ ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, სახალხო დამცველს დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად მიმართა, სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და პოლიციის თანამშრომლების ქმედებაზე რეაგირებისთვის, ასევე, მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც, თავის მხრივ, საქმე შესასწავლად პროკურატურაში გადააგზავნა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2016 წლის 22 აგვისტოს, გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც დაადგინა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციფიკური საჭიროებების გაუთვალისწინებლობის შედეგად, განმცხადებელი დაექვემდებარა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციაში[15] ვკითხულობთ:

---

[14] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება #2ბ/4067-16.

[15] საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 22 აგვისტოს რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

„ვინაიდან, დ.ხ.-ს შეეზღუდა საპირფარეშოთი სარგებლობის ფუნდამენტური უფლება, რამაც მისი ღირსება შელახა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ვერანაირი ლეგიტიმური მიზანი ვერ გაამართლებს პატრულ-ინსპექტორთა მხრიდან განმცხადებლის სპეციფიკური საჭიროებების უგულებელყოფას.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს სამართალდამცავთა ვალდებულებას, ნებისმიერ სიტუაციაში, მათ შორის, დაძაბულ ვითარებაში, იმოქმედონ იმგვარად, რომ არ შეილახოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და თავისუფლებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საპატრულო პოლიციის მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციფიკური საჭიროებების გაუთვალისწინებლობის შედეგად, განმცხადებელი დაექვემდებარა პირდაპირ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით“.

აღნიშნული საქმის განხილვა არ დასრულებულა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

კ.ნ.-ის საქმე: თბილისის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, ქონებრივი ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის განხორციელების თაობაზე

2015 წლის 14 დეკემბერს, მოსარჩელე კ.ნ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ქ. თბილისის საკრებულოს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე და მოითხოვა, საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს #9-48 გადაწყვეტილების რამდენიმე მუხლის ბათილად ცნობა და ასევე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული საცნობი ნიშნის ცვლილება. მოსარჩელე, ასევე, ითხოვდნენ კ.ნ.-სთვის მორალური ზიანის ანაზღაურებას 1000 ლარის ოდენობით.

სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2015 წლის 4 დეკემბერს, დღის 14:20 საათზე, მოსარჩელე კ.ნ.-მ, და მისმა მეგობარმა ა.ა.-მ, ამ უკანასკნელის კუთვნილი ავტომობილი გააჩერეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ სადგომზე. აღნიშნულ ადგილზე გაჩერების მოტივაციას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მეგობარი ა.ა. იმ მომენტში ემსახურებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მოსარჩელე კ.ნ.-ს, რომლისთვისაც განკუთვნილია სპეციალური ავტოსადგომი. იმისათვის, რომ შპს „სი-თი პარკისთვის“ იდენტიფიცირებადი ყოფილიყო სპეციალურ სადგომზე პარკირების მოტივი, კ.ნ.-მ, ავტომობილის წინა საქარე მინაზე, განათავსა შეზღუდული შესაძლებლობის ფლობის დამადასტურებელი მოწმობა.

ავტომობილის გაჩერებიდან 33 წუთში, შპს „სი-თი პარკის“ უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125 (2)-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელის მეგობრის ა.ა.-ს კუთვნილ ავტომობილზე გამოწერა საჯარიმო ქვითარი და ავტომობილი გადაიყვანა სპეციალურ ავტოსადგომზე.

კ.ნ.-მ თავისი ტელეფონიდან განახორციელა ზარი გადაუდებელი დახმარების ნომერზე (122) და ითხოვა დახმარება, რადგან „სი-თი პარკის“ თანამშრომლებმა ავტომობილის გადაყვანისას, წაიღეს მისი პირადი ნივთები. საპატრულო პოლიციის გამოცხადებამდე, თავადვე, არაერთი ზარი განახორციელა დამატებით, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობის გამო, მისთვის შეუძლებელი იყო ქუჩაში ხანგრძლივად ფეხზე დგომა.

შპს „სი-თი პარკმა“, ავტომობილი გადაიყვანა ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, სპეციალური ავტოსადგომებით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც, უშუალოდ, საკუთრებაში ჰყავდა ავტომობილი. შესაბამისად, ყველა სხვა პირისთვის, რომელიც იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მაგრამ არ ჰყავდა საკუთარი ავტომობილი და მგზავრის სტატუსით გადაადგილებისთვის იყენებდა სხვის ავტომობილს, დადგენილების მიხედვით, მათ არ ეძლეოდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სპეციალური ავტოსადგომით სარგებლობის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის წერილობითი პოზიცია წარადგინა საქართველოს სახალხო დამცველმაც[16], სადაც ვკითხულობთ:

„შედარებითი სამართლებრივი ანალიზიდან იკვეთება, რომ საქართველოში არსებული სამართლებრივი რეგულაციები ვერ ჩაითვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მოთხოვნებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროების შესაბამისად, ვინაიდან სპეციალური სადგომებით სარგებლობა უნდა შეეძლოთ არა მხოლოდ უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საკუთარი ავტომობილით, არამედ, ეს სადგომები უნდა იყოს გამოყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებისათვის“.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, ორგანიზაციის მიერ წარდგენილი სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა[17]: - ბათილად ცნო ქ. თბილისის საკრებულოს რეგულაციის ის შესაბამისი მუხლები, რის საფუძველზეც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეზღუდებოდათ სპეციალური პარკირების ადგილებში მანქანის გაჩერება და ქ. თბილისის საკრებულოს დაავალა, არსებულ ნორმატიულ აქტში ცვლილებების იმგვარად განხორციელება, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა საქართველოს კონსტიტუციასა და გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციასთან. თუმცა, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკრებულოს მხრიდან გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა, მეორე ინსტანციის სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად, სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში

[16] საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 12 აპრილის სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება.

[17] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება: #3/9633-15.

და აღსრულებულია. კერძოდ ქ. თბილისის საკრებულომ მიიღო ახალი, თანასწორობაზე ორიენტირებული დადგენილება, რითაც გაითვალისწინა მოსარჩელის ყველა მოთხოვნა.

პირდაპირი დისკრიმინაციის საქმეებში გამოვლენილი პოზიტიური ტენდენციები და გამოწვევები

სასამართლოს მსჯელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების აუცილებლობის შესახებ

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, ეფუძნება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინდივიდუალური მიდგომის შემუშავების ფუნდამენტურ პრინციპს. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გახლავთ ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი ქართულ სამართალწარმოებაში, რომელიც ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის სტატუსის მინიჭება არ განაპირობებს ავტომატურად მასზე შაბლონური წესის გავრცელებას; უფრო მეტიც, თუ მას საქართველოში მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების წესით, მაშასადამე, სამედიცინო დიაგნოზზე დაყრდნობით, მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად წარმოიშობა პრეზუმფცია, თითქოს, იგი მოკლებულია კონკრეტულ შესაძლებლობას, ან შეზღუდული აქვს ყველა უნარი ცხოვრების ყველა სფეროში; რადგან, ყველა პირს გააჩნია ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, სახელმწიფოს მიდგომაც უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული დიფერენციაციის შესაძლებლობას.

აღნიშნული მსჯელობა სასამართლომ განავითარა მოპასუხის, ბათუმის დელფინარიუმის არგუმენტის საპასუხოდ, რომელიც მიუთითებდა, რომ თუ პირს აღენიშნებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მას ავტომატურად ერთმეოდა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო დელფინებთან ჯგუფურ ინტერაქციაში და ინდივიდუალურად, მხოლოდ ინსტრუქტორის დახმარებით შეეძლო დელფინებთან ინტერაქცია.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პირველი მუხლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსს შემდეგნაირად განმარტავს:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში“.

აღნიშნული განმარტების მიხედვით, თუ გარემოსთან ინტერაქციაში პირს ფიზიკური, ფსი-

ქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა არ უზღუდავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, იგი ცხოვრებისა და საქმიანობის ამ კონკრეტულ სფეროში არ უნდა მივიჩნიოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად.

აღნიშნული მსჯელობა შესაბამისობაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან[18], სადაც აღნიშნულია, რომ ქმედუნარიანობის რაიმე ტიპის შეზღუდვისათვის, აუცილებელია, პირის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასება და დაუშვებელია, მათზე დიაგნოზის გარდა სხვა რაიმე ნორმის ბლანკეტურად გავრცელება:

„ქმედუუნარობა ინდივიდუალიზებული პროცესია. შესაბამისად, კანონმდებლობის მიზანი უნდა იყოს ქმედუუნარო პირების დახმარება გადაწყვეტილების მიღების საკითხში და არა ყველა სფეროში მათი ნების სრული ჩანაცვლება. მეურვეების უფლებამოსილება მკაცრად უნდა შემოიფარგლებოდეს იმ საკითხებით, რომლებშიც ადამიანს არ გააჩნია ნების ფორმირების შესაძლებლობა, ხოლო ქმედუუნარო პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ გადაწყვეტილებები მათი შეუზღუდავი უნარების ფარგლებში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მეურვის თანხმობით. ამასთანავე, უნდა შემუშავდეს ის აუცილებელი მოდიფიკაციები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ გამოიწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს პირთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისას“.

აქედან გამომდინარე, პრეცედენტულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების ინდივიდუალური შეფასების შესახებ:

„საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მომსახურების ფასების დამტკიცების შესახებ, მოპასუხეთა გადაწყვეტილება და პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ავტომატურად განაპირობებს ჯგუფური ინტერაქციის ხელმიუწვდომლობას, ისე რომ, არ არის გათვალისწინებული პირის უნარი და შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ჯგუფურ ინტერაქციაში. მაგალითისთვის, პირს, შესაძლოა, ამა თუ იმ მიზეზი გამო, დადგენილი ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი, მაგრამ მისი მდგომარეობა აძლევდეს შესაძლებლობას - დამოუკიდებლად, ყოველგვარი ადაპტირებული გარემოს შექმნისა და სხვა სახის ძალისხმევის გარეშე, ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირმა, მიიღოს მონაწილეობა ჯგუფურ ინტერაქციაში. ამ დროს, მიუხედავად მისი უნარის და შესაძლებლობის ფარგლებისა, დადგენილი სტატუსი, მას უზღუდავს ინტერაქციაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას და ჯგუფური ინტერაქციისთვის დაწესებულ ფასზე (150) ხელმისაწვდომობას, რადგან ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება - 160 ლარით. ხოლო დანერგილი პრაქტიკის გათვალისწინებით, მომსახურება მოიცავს მხოლოდ ინდივიდუალურ ინტერაქციას“.

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება, #2/4/532,533. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

მაშასადამე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა, კიდევ ერთხელ, უსვამს ხაზს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, არ უნდა გავრცელდეს ზოგადი, წინასწარშემუშავებულ მოსაზრებაზე დაყრდნობილი სტერეოტიპული მიდგომა მათი მდგომარეობის შესახებ. არამედ, სავალდებულო უნდა იყოს პირის შესაძლებლობებისა და რესურსების ინდივიდუალური შეფასება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინება.

სასამართლოს მსჯელობა ხელმისაწვდომობაზე - ანუ ვინ იხდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის ფასს

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, განსაკუთრებით საგულისხმოა, დიფერენცირებული გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით მოპასუხის მსჯელობა, რომელიც წარმოდგენილია, როგორც მის შესაგებელში, ისე გადაწყვეტილებაში. მოპასუხის მტკიცებით, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საჭიროებს განსხვავებულ პროგრამას დელფინთან ინტერაქციაში, რაც მათივე მტკიცებით, ობიექტური გარემოებით, ანუ შეზღუდული შესაძლებლობითაა გამოწვეული, ამიტომ - ისინი უნდა ფარავდნენ აღნიშნული განსხვავებული პროგრამის საფასურს.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია სარჩელს არ ცნობს. განმარტავს, რომ დელფინებთან ინტერაქტივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის არის ინდივიდუალური [ვინაიდან მასთან ერთად აუზში ჩადის მწრთვნელი და მისი ასისტენტი და ფიზიკურად მეტი ადამიანი პარალელურად ვერ ჩავა აუზში19], ხოლო, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის არის ჯგუფური პროცედურა“...

„ინტერაქტივის ხანგრძლივობა სამივე შემთხვევაში არის 15 წუთი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში პროცედურა მიმდინარეობს ინდივიდუალურად. შესაბამისად, მთელი ამ დროის განმავლობაში აქვთ კონტაქტი დელფინებთან. შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირების შემთხვევაში, პროცედურა მიმდინარეობს ჯგუფურად 4-6 მსურველის, 2 დელფინის და 2 მწრთვნელის მონაწილეობით. სხვა პირებთან შედარებით შშმ პირებს აქვთ შესაძლებლობა მეტი დროის განმავლობაში იქონიონ კონტაქტი დელფინებთან. შესაბამისად დაწესებულია განსხვავებული პროცედურა შშმ და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის, რის გამოც, განსხვავებულია გაწეული მომსახურება. დაწესებულ საფასურს აქვს გონივრული გამართლება და შეესაბამება გაწეულ მომსახურებას“.

ბათუმის მერიის აღნიშნული მსჯელობით, ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ობიექტური საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია, მან ისარგებლოს განსხვავებული მომსახურების პირობებით, მაშინ მას უნდა დაუწესდეს განსხვავებული გადასახადი. ანალოგიური მსჯელობა, შესაძლოა, შეესაბამებოდეს

[19] ავტორის შენიშვნა.

სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის სპეციალური მასწავლებლის საჭიროების გამო დამატებითი გადასახადის დაწესებას; ავტობუსში ეტლით სპეციალური წესით (პანდუსი ან მძღოლის დახმარება) სარგებლობისთვის გაძვირებული გადასახადის დაწესებას და სხვა. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსაზრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განსხვავებულობიდან გამომდინარე, ობიექტური საჭიროებებით გამოწვეული გაზრდილი თანხა უნდა დაეკისროს ამავე პირს და არ უნდა გადანაწილდეს საზოგადოებაზე.

ბათუმის მუნიციპალიტეტის აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტს, კერძოდ:

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აქტი, ისევე როგორც, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში აფუძნებენ ხელმისაწვდომობის უფლებას[20].

ხოლო, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-9 მუხლი, სწორედ, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, აღმოაჩინოს და გამოასწოროს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა - შენობებთან, გზებთან, ტრანსპორტირებასთან, შენობის შიდა თუ შენობის გარე ინფრასტრუქტურასთან, სკოლებში, საცხოვრებლებში, სამედიცინო და დასაქმების ადგილებში; ასევე, ინფორმაციის, კომუნიკაციისა და სხვა სერვისების, მათ შორის, ელექტრონული და გადაუდებელი მომსახურების კონტექსტში.

ბათუმის საქალაქო სასამართლო იზიარებს საერთაშორისო სამართლის მიდგომას და აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ესაჭიროება ადაპტაცია ან ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა საშუალებები, აღნიშნულის მიწოდება სახელმწიფოს ვალდებულებაა:

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის **„მე-4 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას. ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს; გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად. შესაბამისად, სახელმწიფო, როგორც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, ისევე როგორც შპს [მოპასუხე], რომელიც დაფუძნებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით და არის მუნიციპალიტეტის სუბსიდირებაზე არსებული ორგანიზაცია, ვალდებულია, უზრუნველყოს**

20 UN CRPD Committee on the Rights of Persons with disabilities (2013). General Comment on the Article 9: Accessibility. Par. 4.

შშმ პირთა სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობები, თანაბარი მოპყრობა - ადამიანის უფლებათა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში".

აღნიშნული მსჯელობით, ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულება, გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის გადასახადისა თუ დანახარჯის გაზრდას იმ ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, რომ ესაჭიროება გარემოს ადაპტაცია - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მე-9 მუხლით გათვალისწინებული ხელმისაწვდომობის უფლების ფარგლებში.

სასამართლოს მსჯელობა მტკიცების ტვირთის გადატანის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363-ე[3] მუხლით განისაზღვრა დისკრიმინაციის შესახებ დავების დროს მტკიცების ტვირთის გადატანა მოპასუხეზე, აღნიშნულის განხორციელება პრაქტიკაში კვლავაც პრობლემად რჩება. კერძოდ, სასამართლო, ერთი მხრივ, დეკლარაციულად მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთი უნდა გადავიდეს მოპასუხეზე, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც, უშუალოდ, პროცესის მიმდინარეობისას, ისე სასამართლო გადაწყვეტილებაში ფორმულირებით, ცხადი ხდება, რომ მტკიცების ტვირთის გადატანა არ ხდება. გ.ბ.-ს საქმეში სასამართლო გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„სასამართლო აღნიშნავს, რომ გ.ბ.-მ სარჩელის აღძვრისას წარადგინა ყველა ის ფაქტი და შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დისკრიმინაციული ფაქტის არსებობას ადასტურებს (...)პირადად სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან დადასტურებული იქნა მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, რომლის არსებობის საწინააღმდეგო მტკიცებულებები მოპასუხე მხარეს არ წარუდგენია".

უშუალოდ, პროცესის მიმდინარეობისას, მოსარჩელის წარმომადგენლებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ მათ ვალდებულებას მხოლოდ დისკრიმინაციის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის შექმნა წარმოადგენდა, მიუხედავად ამისა, პროცესზე მოსარჩელეს მუდმივად უწევდა მოპასუხისთვის მტკიცების ტვირთის გადატანის შესახებ შეხსენება, რადგან მოპასუხე არ აღიარებდა ამის აუცილებლობას და არც მოსამართლის მხრიდან გაცემულა აშკარა მითითება აღნიშნულის შესახებ.

განხილულმა მაგალითმა გამოავლინა, რომ დისკრიმინაციის შესახებ საქმეებში, აუცილებელია, მტკიცების ტვირთის გადატანის თაობაზე ცხადი მითითება მიეცეს მოპასუხის მხარეს და სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილებაში დაფიქსირდეს არა დისკრიმინაციის დადასტურების, არამედ მოსარჩელის მხრიდან დისკრიმინაციის ვარაუდის შექმნის ვალდებულების შესახებ.

სასამართლოს მსჯელობა განსჯადობაზე

კვლავაც, პრობლემად რჩება დისკრიმინაციის შესახებ განსჯადობის საკითხი, რაც არა-ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში[21].

მიუხედავად იმისა, რომ დ.ხ.-ს მიმართ სამართალდამცავების მხრიდან განხორციელებული დისკრიმინაციის შესახებ დავა წარმოადგენდა საჯარო-სამართლებრივ ხასიათს და გამომდინარეობდა საჯარო-სამართლებრივი ნორმებიდან, მხარეს კი, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებით დავა გადააგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. სასამართლომ მიუთითა უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განჩინება[22], რომლის თანახმადაც:

„სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7³ კარით, რომლითაც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოებაა განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას“.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის საქმეების განსჯადობაზე, აღნიშნული განჩინების შემდგომ მიღებულია საკასაციო სასამართლოს განსხვავებული მსჯელობა, რომელიც არ ეთანხმება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სავარაუდოდ განხორციელებული დისკრიმინაციის საქმეების განსჯადობით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის გადაცემას - მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მიზეზის მითითებით.

კერძოდ, 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებაში[23], საკასაციო სასამართლო მიუთითებს:

„საქმის განსჯადობას არ განაპირობებს ის, თუ რომელ საპროცესო კოდექსში არის გათვალისწინებული დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვის მომწესრიგებელი ნორმები. საჯარო მმართველობის საქმიანობის კანონიერების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობაში კანონით განსაზღვრული თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ქცევის წესისა და სტანდარტების სათანადო ანალიზის შედეგად. ამდენად, დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში მოქცევა შედეგად გამოიწვევს

[21] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (2016). დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი.

[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის #ბს-224-223(გ16)

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება #ბს-349-345 (გ-16).

იმას, რომ საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხები გამოვა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების სფეროდან. განსჯადობის ამგვარი გადაწყვეტა შედეგად გამოიწვევს თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების მნიშვნელოვანი დავების გადაცემას სამოქალაქო კატეგორიის დავების განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში".

დისკრიმინაციის საქმეებზე განსჯადობის საკითხის თაობაზე, ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად, მნიშვნელოვანი იქნება, თუკი, შესაბამისი ცვლილება შევა საქართველოს შესაბამის კანონმდებლობაში და აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო წესით მოწესრიგდება.

ირიბი დისკრიმინაცია

საანგარიშო პერიოდში, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის თაობაზე, საერთო სასამართლოებს არცერთი საქმე არ განუხილავთ. შესაბამისად, ამ კუთხით არსებული პრაქტიკა ჯერ ისევ მწირია. ამიტომ, ქვემოთ მოვიყვანთ ირიბი დისკრიმინაციის თაობაზე საქმეს, რომელიც ჯერ ისევ სასამართლო წარმოებაშია და რომელზეც საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის პოზიცია არსებობს.

ს.ქ.-ს საქმე: სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიმართ ირიბი დისკრიმინაციის განხორციელების თაობაზე

ს.ქ. არის 11 წლის ბიჭი, რომელსაც აღენიშნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა - მძიმე გონებრივი ჩამორჩენა ქცევითი აშლილობით, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორით განსაზღვრული დიაგნოზი კოდით - F 72.1. 2010 წლიდან ბავშვი ირიცხებოდა თბილისის ერთ-ერთ დღის ცენტრში. აღნიშნული დღის ცენტრი საქართველოში ერთადერთია, რომელიც მსგავსი მდგომარეობის მქონე ბავშვებს აწვდის სერვისს. სერვისი ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით, ხოლო, დაფინანსების წესს განსაზღვრავს, ყოველწლიურად განახლებადი მთავრობის დადგენილება - სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის შესახებ.

2014 წლიდან ს.ქ.-ს მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა - ბავშვს დაუმძიმდა მდგომარეობა, განუვითარდა იმპულსური და თვითდამაზიანებელი ქცევები. დღის ცენტრის მულტიდისციპლინარულმა გუნდმა მიიჩნია, რომ ს.ქ.-ს მდგომარეობის მართვა შეუძლებელი იყო დღის ცენტრის ბაზაზე და ბავშვი გადამისამართდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც იგი იმყოფებოდა 21 დღით.

2015 წლის გაზაფხულზე ს.ქ.-ს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ვინაიდან ბავშვის მდგომარეობის დამძიმების გამო, ერთი აღმზრდელი ვეღარ ახერხებდა მისი ქცევის მართვას, თვითდაზიანებისა და სხვა ბავშვების დაცვას. ს.ქ.-ს დედას - ნ.ლ.-ს მოუწია სამსახურის

დატოვება, რათა მთელი დღე დღის ცენტრში ს.ქ.-ს მეთვალყურედ და მზრუნველად გაეტარებინა. შედეგად ნ.ლ. დარჩა სამსახურის გარეშე, დაუგროვდა ვალი და აღმოჩნდა მძიმე ფინანსური პრობლემის წინაშე. ვინაიდან, არსებული რესურსებით, დღის ცენტრში ს.ქ.-ს ქცევის მართვა ვეღარ ხერხდებოდა, დღის ცენტრმა შეწყვიტა მომსახურების მიწოდება და ნ.ლ.-ს შესთავაზა ბავშვი ჩართულიყო ბინაზე მოვლის ქვეპროგრამაში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბინაზე მომსახურება ითვალისწინებდა თვეში ბავშვთან კომუნიკაციის მხოლოდ 44 საათს, რომელიც ნ.ლ.-ს განცხადებით, სრულიად არაეფექტური იყო. ბავშვი საზოგადოებისგან სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, მთელ დღეებს ატარებდა ბინაში გამოკეტილი, სადაც ხშირად ახორციელებდა თვითდამაზიანებელ ქცევას, შეიქმნა სუიციდის საფრთხე, ვერ ურთიერთობდა თანატოლებთან, ნელ-ნელა ხდებოდა მისი დასწავლილი უნარების რეგრესი, გაიზარდა მისი ინსტიტუციონალიზაციის რისკი. პარალელურად, ამ პერიოდის განმავლობაში, 5-ჯერ მოხდა მისი სტაციონირება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის არაეფექტურობის შესახებ გამოხატული უკმაყოფილების გამო, სოციალურმა სააგენტომ 2017 წლის აპრილის თვეში ნ.ლ.-ს შესთავაზა, ბავშვი მიეყვანა სპეციალიზებულ სკოლაში. თუმცა, სკოლის შეზღუდული პროფესიული რესურსის გამო, ნ.ლ.-ს კვლავაც უწევდა ს.ქ.-ს გვერდით ყოფნა სკოლაში. სკოლაში ს.ქ.-მ დაჰყო სულ ორი კვირა. 2017 წლის მაისის თვეში კი, მოხდა ინციდენტი, რა დროსაც, სკოლიდან მცირე დროით გასულ ნ.ლ.-ს დაუკავშირდა სკოლის ადმინისტრაცია და მოსთხოვა, სკოლაში დაუყოვნებლივ დაბრუნება. სკოლაში მისვლისას, ნ.ლ. დადგა ფაქტის წინაშე, სადაც ს.ქ.-ს ქცევას ვერ მართავდა სკოლის სამი პედაგოგი, 2 მანდატური და ადმინისტრაციის წარმომადგენელი. მათ განაცხადეს - „გვეშინია, არ გვცემოს“. ნ.ლ. იძულებული გახდა, კვლავ მოეხდინა ბავშვის ჰოსპიტალიზაცია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

სახელმწიფოს მხრიდან ს.ქ.-ს მიმართ განხორციელებული ირიბი დისკრიმინაციის დასადგენად (რაც გამოიხატებოდა ს.ქ.-ს საჭიროებებზე მორგებული სოციალური და რეაბილიტაციის სერვისების არარსებობაში), მის აღმოსაფხვრელად და ზიანის ასანაზღაურებლად, ორგანიზაციამ, ს.ქ.-ს სახელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას.

მოსარჩელის მტკიცებით, მთავრობის დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს ბავშვთა სოციალური და რეაბილიტაციის სერვისების დაფინანსებას, თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად არათანაბარ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს და შესაბამისად, არის დისკრიმინაციული. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან გამოიყოფა მოჭრილი თანხა როგორც ს.ქ.-ს მსგავსი ქცევის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის, ისე - იმ ბავშვებისთვის, რომელთაც ქცევის დარღვევა არ გააჩნიათ. შესაბამისად, გამოყოფილი თანხა არ აძლევს საშუალებას არსებულ სერვისებს (მათ შორის დღისცენტრებს) ს.ქ.-სთვის დამატებითი პროფესიული რესურსის გამოყოფის შესაძლებლობას, შედეგად კი, ბავშვი ვერ იღებს მისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებას და ირღვევა მისი ფუნდამენტური უფლება ჯანდაცვაზე, განათლებაზე, განვითარებასა და საზოგადოებაში

ინტეგრაციაზე, არსებობს თვითდაზიანების, სუიციდისა და იძულებით ინსტიტუციონალიზაციის მაღალი რისკი.

სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის (Amicus Curie) პოზიცია ს.ქ.-ს საქმეზე - ირიბი დისკრიმინაციის დადგენისა და მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხებზე

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ 2016 წლის 24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა თხოვნით, წარედგინა სასამართლოს მეგობრის პოზიცია ს.ქ.-ს საქმეზე.

სასამართლოს მეგობრის წარდგენის სამართლებრივი საფუძვლები

სასამართლოს მეგობრის მოსაზრების გამოხატვის თაობაზე, სახალხო დამცველისთვის მიმართვის საფუძველია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტი, რომლის თანახმადაც:

„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ცალკეულ შემთხვევებში, შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curie) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16[1] მუხლის თანახმად:

1. ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ანდა მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე, არანაკლებ 5 დღით ადრე, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. წერილობითი მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადო შეფასებაში უნდა დაეხმაროს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედგენილი, ის მას არ განიხილავს.

3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ის უფლებამოსილია, გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება. ეს მოსაზრება, შესაძლებელია, სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახოს.

4. სასამართლო უფლებამოსილია, საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობით მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

ომბუდსმენის მიერ წარდგენილ სასამართლო მეგობრის პოზიციაში, განმარტებულია ირიბი დისკრიმინაციის დადგენის წესი. კერძოდ, ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად, საჭიროა, განისაზღვროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ის უფლება, რომლით სარგებლობისასაც, შესაძლოა, პირს ხელი შეშლოდა ირიბი დისკრიმინაციის საფუძველზე. ს.ქ.-ს სარჩელთან მიმართებით, მოსარჩელე ამტკიცებს ბავშვის კონსტიტუციით გათვალისწინებული შემდეგი უფლებების დარღვევას: - ჯანმრთელობის უფლება, რეაბილიტაციაბილიტაციის უფლება, განათლების უფლება, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თავისუფალი განვითარების უფლება. აღნიშნული უფლებების დაცვა, ომბუდსმენის თანახმად, ასევე, გარანტირებულია, - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციით.

ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შემდეგ ეტაპზე, ომბუდსმენის თანახმად, უნდა განისაზღვროს შესადარებელი სუბიექტი (კომპარატორი. მოსარჩელე სარჩელში ასეთ ჯგუფად მიუთითებს იმ ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ ს.ქ.-ს მსგავსი დიაგნოზით, თუმცა, ს.ქ.-სგან განსხვავებით, არ აქვთ ქცევის გამოხატული დარღვევები). მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე არ აღიარებს ამ ორი ჯგუფის ბავშვებს შორის სხვაობას და ორივე ჯგუფს აერთიანებს ერთი დიაგნოზის ქვეშ, ომბუდსმენი ხაზს უსვამს:

„მოსარჩელე სარჩელში გამოყოფს ორ ჯგუფს, რომელთაგან ორივეს, მართალია, აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი, მაგრამ მათ შორის ასევე არსებობს განსხვავება, კერძოდ, მსგავსი დიაგნოზის მიუხედავად, მათ აქვთ რადიკალურად განსხვავებული ქცევა და აქედან გამომდინარე, საჭიროებები. გამოხატული ქცევა არის ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებელი, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს. შესაბამისად, შესაძლოა, სასამართლომ მიიჩნიოს, რომ ს.ქ.-სა და მსგავსი დიაგნოზის მქონე იმ ბავშვებს შორის, რომელთაც ინტენსიური ყურადღება არ სჭირდებათ, არის განსხვავება, რაც ს.ქ.-ს გამოხატულ ქცევაში ვლინდება“.

ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შემდეგ ეტაპზე, სახალხო დამცველი აანალიზებს თანაბარი მოპყრობის ლეგიტიმური მიზნისა და პროპორციულობის ცნებას. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია, რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაციით შესაძლებელი იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, ანუ რეგულაცია ორიენტირებული უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის დაცვასა და უზრუნველყოფაზე. ხოლო, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნებისა და ინტერესების უზრუნველყოფა[24].

ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ მოპასუხის განმარტებით, ს.ქ.-ს უფლებების შემზღუდავი, მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული დღის ცენტრების ქვეპროგრამის მიზანი არ არის სამიზნე ჯგუფების ყველა საჭიროების დაკმაყოფილება. ანუ მოპასუხე აღიარებს, რომ ქვეპროგრამები არ არის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული.

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557.571.576,II.23.

შესაბამისად, ასეთ პირობებში, უნდა შეფასდეს, რამდენად მიიღწევა სადავო დადგენილების მიზნები მოსარჩელესთან მიმართებით, რომელიც არის დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების ბენეფიციარი, თუმცა, პრაქტიკულად ვერ სარგებლობს დადგენილებით, მათ შორის, მისთვის მინიჭებული სიკეთეებით.

ომბუდსმენი, ასევე, ხაზს უსვამს ს.ქ.-ს საქმესთან მიმართებით „გონივრული მისადაგების" პრინციპის გამოყენების შესაძლო რელევანტურობას და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს, როგორც გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციიდან, ისე ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციიდან. სწორედ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ერთ-ერთ ბოლო გადაწყვეტილებაში, აღნიშნა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც იცავს თანასწორობის უფლებას, ასევე, გულისხმობს გონივრული მისადაგების უფლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. „სასამართლო აღნიშნავს, რომ გონივრული მისადაგების მიზანი ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრაა, ამ პრინციპის დარღვევა კი დისკრიმინაციად მიიჩნევა"[25].

ვინაიდან, ანგარიშის წერის პროცესში, ს.ქ.-ს საქმე ჯერ კიდევ სასამართლო წარმოებაშია, ს.ქ.-ს უფლებების დამცველი ორგანიზაციისთვის უცნობია, სასამართლო რამდენად გაიზიარებს სასამართლო მეგობრის პოზიციას, თუმცა, მიიჩნევს, რომ აღნიშნული პოზიციის გაზიარება დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტის გამო, ს.ქ.-ს დარღვეული უფლებების აღდგენის აუცილებელი წინაპირობაა.

გონივრული მისადაგების პრინციპი

აღნიშნული თავი განიხილავს გონივრული მისადაგების პრინციპის არსსა და მის მნიშვნელობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის დადგენის პროცესში. აღნიშნული პრინციპი განმარტებულია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის შუქზე.

გონივრული მისადაგების პრინციპის არსი და მიმართება კანონმდებლობასთან

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებზე მსჯელობისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს გონივრული მისადაგების პრინციპზე. გონივრული მისადაგება არის საშუალება, თანასწორობის ფორმალური გაგება შევცვალოთ

[25] ECtHR. Cam v. Turkey, no. 51500/08, 23/02/2016.

თანასწორობის არსებითი გაგებით[26]. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გარანტირებული აქვთ ყველა უფლება, **გარემოს გონივრული მისადაგების** გარეშე, ამ უფლებათა რეალიზაცია განუხორციელებელი რჩება.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის" თანახმად, დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად დასახელებულია - უარი გონივრულ მისადაგებაზე. თავად, კონვენციაში, გონივრული მისადაგების დეფინიციის შესახებ ვკითხულობთ:

„გონივრული მისადაგება"- გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტირების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას[27].

გონივრული მისადაგების გამოუყენებლობა კი, კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენს. „დისკრიმინაცია არის ყველანაირი განსხვავება, გამორიცხვა ან შეზღუდვა, რომლის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად, ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა. შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას **გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმით ჩათვლით"[28].**

კონვენციის აღნიშნული განმარტება მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გარემოსა და ყველა ტიპის სერვისისა თუ პროდუქტის მოდიფიცირებას იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. ეს შეიძლება მიემართებოდეს - შენობა-ნაგებობების, გზებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის ფიზიკურ მისაწვდომობას, აგრეთვე, სამუშაო ადგილის, განათლების სისტემისა თუ სხვა სახის საჯარო სერვისებისა და რესურსებზე მისაწვდომობის საკითხებს.

გონივრული მისადაგების პრინციპის განვითარების ისტორიული პერსპექტივა

გონივრული მისადაგების, როგორც პრინციპის ინტეგრირება კანონმდებლობაში, თავ-დაპირველად, გვხვდება საერთო სამართლის ქვეყნების იურისპრუდენციაში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1964 წლიდან. აშშ-ის სამოქალაქო უფლებების აქტით, სწორედ 1964 წელს განისაზღვრა დამსაქმებლის ვალდებულება, სხვადასხვა რელიგიური

[26] Bribosia, E. & Rorive, I (2013). Reasonable Accomodation beyond Disability in Europe? European network of Legal Experts in the Non-discrimination field,

[27] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2.

[28] იგივე, მუხლი 2.

კონფესიის წარმომადგენლებისთვის **გონივრულად მოერგო** სამუშაო დრო (რელიგიურ დღესასწაულებთან, დასვენების დღეებთან მიმართებით), თუ ეს მორგება არ იქნებოდა ზედმეტი და არაგონივრული ტვირთი დამსაქმებლისთვის.

მნიშვნელოვანია, 1977 წელს ამერიკის უზენაესი სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეზე[29]. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ დასაქმებული თავისი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, დასაქმების რაიმე პირობას მიიჩნევს რელიგიური პრაქტიკის მნიშვნელოვნად ხელშემშლელ პირობად, მას შეუძლია, მიმართოს დამსაქმებელს. დამსაქმებელმა კი, დასაქმებულს უნდა შესთავაზოს შრომის პირობების იმგვარი გონივრული მისადაგება, რაც დასაქმებულს საშუალებას მისცემს, დაიცვას საკუთარი აღმსარებლობით გათვალისწინებული წესები. თუმცა, ამავე დროს, მსგავსი მისადაგება დამსაქმებლის ბიზნესს მნიშვნელოვან ტვირთად არ უნდა დააწვეს.

კანადის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკით[30], გონივრული მისადაგება შესაძლებელია, ასევე, გავრცელდეს - შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერულ, ეთნიკურსა და ასაკობრივ ნიშანთან დაკავშირებულ შემთხვევებზე. გონივრული მისადაგების ვალდებულება გააჩნია, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს და ვრცელდება დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის სფეროებსა და მომსახურების მიწოდების პროცესზე.

გონივრული მისადაგების პრინციპი, ასევე, აქტიურად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე. სასამართლოს იურისპრუდენციაში გონივრული მისადაგების შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმეს - თლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ[31], რამაც, მე-14 მუხლთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობა შეცვალა. სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნულ საქმეში მიუთითა, რომ სახელმწიფოს წარუმატებლობა გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაში, შეიძლება შეფასდეს, როგორც დისკრიმინაცია. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციასა და გონივრული მისადაგებით ამ დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა მეორე პრეცედენტული საქმე, - გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ[32]. აღნიშნულ საქმეში, მოცემული იყო როგორც გონივრული მისადაგების გამოუყენებლობის, ისე ირიბი დისკრიმინაციის ფაქტი. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, განეხორციელებინა გარემო პირობების გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ სამხედრო სამსახურის გავლისთვის.

---

[29] აშშ უზენაესი სასამართლოს საქმე Trans World Airlines v Hardison, 432 US 63.

[30] Bribosia, E. & Rorive, I (2013). Reasonable Accomodation beyond Disability in Europe? European network of Legal Experts in the Non-discrimination field.

[31] Thlimmenos v. Greece, 6 April 2000, par. 44.

[32] Glor v. Switzerland, 30 April, 2009, par. 94-95.

სხვაობა გონივრული მისადაგებისა და მისაწვდომობის პრინციპს შორის

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს განსხვავება **„გონივრული მისადაგებისა (reasonable accomodation)“** და **„მისაწვდომობის (accessibility)“** ცნებებს შორის. პირველ რიგში, ორივე მათგანის მიზანს წარმოადგენს გარემოს, შენობების, პროდუქტების, კომუნიკაციისა თუ სხვა სერვისების თანაბარი გამოყენება/მოხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, თუმცა, მათ შორის მაინც არსებობს არსებითი განსხვავება, რაც სახელწმიფოს ვალდებულებების ფარგლებს მიემართება.

ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფების უფლებასა და მოლოდინს იმის შესახებ, რომ ზემოთხსენებული ყველა სერვისისა თუ პროდუქტის გამოყენება შესაძლებელი იქნება **ყველა პირის,** მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ამ პრინციპს - **ex ante** (წინასწარ ნაგულისხმევ) ვალდებულებას უწოდებენ, რაც გულისხმობს, რომ გარემოს ხელმისაწვდომობა გათვალისწინებული უნდა იყოს წინასწარ, გარემოს დაგეგმვისა და სერვისების ორგანიზების პროცესში[33]; გარემოს მისაწვდომობა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წინასწარ, მიუხედავად იმისა, მიუმართავს თუ არა კონკრეტულ პირს აღნიშნული მოთხოვნით. ამისთვის, ქვეყანაში უნდა არსებობდეს ოფიციალურად დამტკიცებული მისაწვდომობის სტანდარტები, რომელთა შემუშავებაშიც უნდა მონაწილეობდნენ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მისაწვდომობის სტანდარტი უნდა იყოს სპეციფიკური თითოეულ სერვისთან მიმართებით.

თუმცა, მისაწვომობის ზოგადი სტანდარტი, შესაძლოა, მაინც არასაკმარისი აღმოჩნდეს იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ვისაც განსაკუთრებით იშვიათი მდგომარეობა და მკვეთრად ინდივიდუალიზებული საჭიროებები გააჩნია. მაგალითად, პირი, რომელიც უსინათლოა, მაგრამ არ შეუძლია ბრაილის შრიფტის საშუალებით კითხვა, ბუნებრივია, ვერ ისარგებლებს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ხელმისაწვდომობის სტანდარტით.

განსხვავებით მისაწვდომობის ზოგადი ვალდებულებისა, **„გონივრული მისადაგების პრინციპი“ კონკრეტული ინდივიდისთვის** წარმოშობს უფლებას, მოითხოვოს კონკრეტული სერვისისა თუ პროდუქტის, ან გარემოს დაუყოვნებელი მოდიფიცირება იმისათვის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი გახდეს ამ კონკრეტული პირისთვის. ამ უფლებას **ex nunc** (გაგების, შეტყობინების მომენტიდან წარმოშობილ) მოთხოვნის უფლებას უწოდებენ და გამოიხატება მოვალეობის კონცეფციაში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეუძლია გონივრული მისადაგების განხორციელება ითხოვს იმ წუთიდან, როდესაც მას უფლების რეალიზაციისას შეფერხება წარმოეშვა. აღნიშნულის წინასწარ გათვალისწინება, შესაძლოა, ვერ მომხდარიყო, ვინაიდან ამ პირის ინდივიდუალური საჭიროებები მოითხოვს გარემოს კიდევ უფრო მეტად მორგებას, ვიდრე ეს ზოგადი მისაწვდომობის სტანდარტითაა

[33] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მეორე ზოგადი კომენტარი.

გათვალისწინებული. დარღვევის დაფიქსირების წუთიდან, „გონივრული მისადაგების“ ვალდებულება ჩართულია მოთხოვნის ადრესატისთვის[34].

ფუნდამენტური განსხვავება **„მისაწვდომობისა“** და **„გონივრული მისადაგების“** სტანდარტს შორის, მათი განხორციელებისათვის საჭირო რესურსების საკითხია. სახელმწიფო, ფინანსური ტვირთის გამო, უარს ვერ იტყვის მისაწვდომობის ზოგადი სტანდარტის უზრუნველყოფაზე და ვერ განაცხადებს, რომ მისაწვდომობის უზრუნველყოფა არაგონივრულია. მისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოსთვის **უპირობო ვალდებულებაა.** ხოლო, გონივრული მისადაგების სტანდარტის უზრუნველყოფა შესაძლებელია მაშინ, თუ აღნიშნული არაპროპორციულად დიდ ტვირთს არ აკისრებს მოპასუხე მხარეს.

ზოგადი ხელმისაწვდომობის სტანდარტის დაკმაყოფილება, რაც უფრო მასშტაბური ხასიათისაა, შესაძლოა, გულისხმობდეს დროში კარგად დაგეგმილსა და განხორციელებულ პროცესს, თუმცა, მისი განუხორციელებლობა კონვენციის შესაბამისად, დისკრიმინაციის დადგენის წინაპირობად უნდა შეფასდეს.

კონვენციის რატიფიცირების მიუხედავად, საქართველოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში, დღემდე არ არსებობს გონივრული მისადაგების გამოყენების ვალდებულება და შესაბამისად, არ არსებობს არც მისი გამოუყენებლობის გამო დისკრიმინაციად შეფასების მოწესრიგება, რაც ქმნის პრაქტიკულ პრობლემებს და რისკს იმისა, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში, არსებული სტანდარტების ინტერპრეტაცია არ მოხდება UN CRPD-ის შუქზე.

რადგან საქართველოს საერთო სასამართლოებს გონივრული მისადაგების პრინციპი არცერთ საქმეში ჯერ არ გამოუყენებიათ, აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის მიერ განხილული საქმეების, ასევე, სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციის მაგალითებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საქართველოს არ მოუხდენია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს საკუთარი უფლებების დაცვის პროცესში; აღნიშნული კი, ხელს უშლის ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მაღალი სამართლებრივი სტანდარტის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას.

[34] “Resoanable Accommodation for Disable People in Employment”, Prepared by Delia Ferri, Maynooth University Anna Lawson, University of Leeds, European Commission, page 96, 2016.

დ.ფ.-ს საქმე: სკოლის ვალდებულება სასკოლო განრიგის გონივრული მისადაგების კუთხით

ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სამართლებრივად დაეხმარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელს, რათა, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის საფუძველზე, მიემართა საქართველოს სახალხო დამცველის ფარგლებში არსებული ანტიდისკრიმინაციული მექანიზმისთვის.

2016 წლის 28 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მ.კ.-მ[35] სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სავარაუდო

დისკრიმინაციის თაობაზე. მშობელი აღნიშნავდა, რომ ჰყავს 7 წლის შვილი - დ.ფ., რომელსაც აღენიშნება აუტისტური სპექტრის დიაგნოზი. ბავშვი ინკლუზიურ განათლებას იღებს თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ბავშვის საცხოვრებელი ადგილიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული. აღნიშნული სკოლა იმ სარეაბილიტაციო ცენტრთან სიახლოვის მიხედვით შეირჩა, სადაც ბავშვი ABA თერაპიას გადის. იმისათვის, რომ ბავშვი დილის 9:00 საათზე დროულად გამოცხადდეს სკოლაში, მას დილით 7:00 საათზე უწევს გაღვიძება. აუტიზმის დიაგნოზიდან გამომდინარე, იგი სხვა ბავშვებთან შედარებით, მეტ დროს ანდომებს მომზადებას, რასაც დილით, ხშირად, თან ერთვის ქცევის გარკვეული პრობლემები (ტანტრუმი). ეს უკანასკნელი კი, ობიექტურად, განაპირობებს სკოლაში დაგვიანებას. 2016 წლის 28 მარტს, მ.კ.-მ ბავშვი სკოლაში დაგვიანებით მიიყვანა. მშობელს სპეციალურმა პედაგოგმა განუმარტა, რომ სკოლის დირექტორის ზეპირი მითითებით, მნიშვნელოვანი დაგვიანების გამო, ბავშვი არ დაიშვებოდა პირველ გაკვეთილზე. დირექტორმა, ასევე, პირადად უთხრა უარი მ.კ.-ს, იმ დღეს, ბავშვის პირველ გაკვეთილზე დარჩენილი დროით შეყვანაზე.

განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ დირექტორის ზეპირი მითითებითა და მისთვის, ფაქტობრივად, პირველ გაკვეთილზე დაშვების შეზღუდვით, დაირღვა ბავშვის კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლება და დისკრიმინაციის დადგენის მიზნით, მიმართა სახალხო დამცველს. მ.კ.-მ დარღვევის შესწავლის მიზნით, ასევე, მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს, რომლის დასკვნითაც, განცხადებაში აღნიშნული საკითხები დარღვევის ნიშნებზე არ მიუთითებდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2016 წლის 23 დეკემბერს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიმართა ზოგადი წინადადებით, სადაც აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლების სფეროში **„გონივრული მისადაგება“** სხვადასხვა ფორმით უნდა განხორციელდეს, ხოლო, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, - ნებისმიერი მოსწავლე, მიუხედავად მისი ინდივიდუალური სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა, უზრუნველყოს შესაბამისი

[35] საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, 2016 წლის 23 დეკემბერი, http://ombudsman.ge/uploads/other/4/4119.pdf

ხარისხის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით. სახალხო დამცველის თანახმად, სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და გარემოსთან ადაპტირება, რაც საქართველოს კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, წარმოადგენს სწორედ გონივრული მისადაგების პრინციპის რეალიზაციის ვალდებულებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიუთითა, განმცხადებლის შვილისთვის მისსავე საჭიროებებზე მორგებული საგაკვეთილო განრიგის შემუშავების აუცილებლობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განათლების უფლების ხელმისაწვდომობაზე გონივრული მისადაგების უზრუნველყოფით

ჩემი თურქეთის წინააღმდეგ (Cam v. Turkey)[36]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2016 წლის 23 თებერვალს, გამოიტანა გადაწყვეტილება, რითაც, უსინათლო ბავშვის მიმართ დადგინდა დისკრიმინაცია თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან.

15 წლის ჩემიმ, რომელიც დაბადებიდან უსინათლო იყო, 2004 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში. ჩაბარების პროცედურის მოთხოვნით, სამედიცინო დაწესებულების სპეციალურმა კომისიამ გასცა დასკვნა, რომელშიც მიუთითა, რომ ჩემი შეძლებდა მხოლოდ იმ გაკვეთილებზე დასწრებას, სადაც მხედველობა არ იქნებოდა დასწრების აუცილებელ პირობად განსაზღვრული. მუსიკალურმა აკადემიამ ჩემის უარი უთხრა აკადემიაში ჩარიცხვაზე იმ განცხადების საფუძველზე, რომ აკადემიის ყველა კურსი და გაკვეთილი ითხოვდა მხედველობის ქონას.

ჩემის მშობლებმა აკადემიის უარი ჩარიცხვაზე სტამბოლის ადმინისტრაციულ სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და გაიზიარა მუსიკალური სასწავლებლის პოზიცია. სასამართლოს მოსაზრებით, ჩემმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა მის მუსიკალურ შესაძლებლობას აკადემიაში განათლების მისაღებად. სასამართლოს გადაწყვეტილება ჩემმა და მისმა მშობლებმა ზედა ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრეს, თუმცა, უშედეგოდ. მათ, ასევე, შეიტანეს საჩივარი იმ სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, აკადემიის მოთხოვნით, ახალი სამედიცინო დასკვნა შეადგინა და რომლითაც ადასტურებდა, მუსიკალურ დაწესებულებაში ჩემის მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის არქონას.

ჩემმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლისა (უფლება განათლებაზე) და კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევის

36 ECtHR, Cam v, Turkey, 23 Feb. 2016, 51500/08

(დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე) დადგენის მოთხოვნით მიმართა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩემის მიმართ, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, დისკრიმინაცია დადგინდა. სასამართლოს განმარტებით, ჩემის მიმართ დისკრიმინაცია გულისხმობდა აკადემიის მიერ **გონივრული მისადაგების პრინციპზე უარის თქმას.** კერძოდ, აკადემიას არ შეუსწავლია, თუ რა საჭიროებები ჰქონდა ჩემს და არ მოუხდენია კურსებისა და გაკვეთილების მორგება ჩემის საჭიროებებზე. სასამართლომ თურქეთის სახელმწიფოს დააკისრა 13 000 ევროს გადახდა ჩემის დარღვეული უფლებების საკომპენსაციოდ.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ განხილული საქმე ბანკომატების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა და გონივრულ მისადაგებაზე

გაეროს შშმ პირთა კომიტეტმა, 2013 წელს განიხილა და გამოიტანა გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე[37], სადაც, უსინათლო განმცხადებლები - უნგრეთის მოქალაქე სილვია ნიუსტი და პეტერ ტოკაჩი ამტკიცებდნენ, რომ უნგრეთის სახელმწიფომ მათ წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები (გონივრული მისადაგების პრინციპის გამოუყენებლობა); მე-9 მუხლი (მისაწვდომობა) და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი (კანონის წინაშე თანასწორობა). მხედველობის პრობლემის მქონე პირებმა - საბანკო დაწესებულებასთან “OTP Bank Zrt.” (შემდგომში, OTP) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააფორმეს ხელშეკრულება კერძო პირთა მიმდინარე ანგარიშით მომსახურების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მომჩივნებს საბანკო ბარათების გამოყენების უფლებას ანიჭებდა, მათ არ ჰქონდათ ბანკომატების დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა, ვინაიდან OTP-ის ექსპლუატაციაში არსებული ბანკომატების კლავიატურას ბრაილის შრიფტი არ ჰქონდა. ამასთან, ბანკომატები არ უზრუნველყოფდა აუდიოინსტრუქციებსა თუ ხმოვან დახმარებას საბანკო ბარათით ოპერაციების განსახორციელებლად. მოსარჩელეები იხდიდნენ საბანკო ბარათით მომსახურებისა და საბარათე ტრანზაქციების განხორციელებისათვის დაწესებულ ყოველწლიურ საფასურს, ბანკის სხვა კლიენტების მიერ გადახდილი საფასურის ტოლი ოდენობით. მიუხედავად ამისა, მათ არ შეეძლოთ ბანკომატების მომსახურეობით სარგებლობა მხედველობის მქონე კლიენტებთან თანასწორობის საფუძველზე.

აღნიშნულ საქმეზე, კომიტეტმა სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევა დაადგინა, მათ შორის, გონივრული მისადაგების პრინციპის დარღვევა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციად შეფასდა. განსა-

[37] შეტყობინება No. 1/2010, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის კომიტეტის მიერ მე-9 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2013 წლის 15-19 აპრილი)

კუთრებულად მნიშვნელოვანია კომიტეტის განმარტება კერძო სექტორის ვალდებულებაზე, - თანასწორობის პრინციპის დაცვით, მიაწოდოს ყოველგვარი სერვისი კონკრეტულ მოსარგებლე პირებს, ხოლო ამის უგულებელყოფა, წარმოადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ განხილული საქმე მშენებლობის ნებართვისა და გონივრული მისადაგების საკითხზე

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტმა, 2012 წელს განიხილა საჩივარი და გამოიტანა რეკომენდაციები ერთ-ერთ საქმეზე[38], სადაც დაადგინა **გონივრული მისადაგების პრინციპის დარღვევა,** რაც სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციულ მოპყრობად შეფასდა.

აღნიშნულ საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა შვედეთის მოქალაქე ქ-ნი ჰ.მ., რომელსაც მძიმე ქრონიკული დაავადება ჰქონდა და, რის გამოც, ბოლო რვა წელი არ შეეძლო გადაადგილება და დგომა, უჭირდა ჯდომა და წოლაც. აღნიშნული დარღვევების შედეგად, ბოლო ორი წელი მომჩივანი იმყოფებოდა მუდმივად მწოლიარე მგომარეობაში, რამაც იგი კიდევ უფრო დაასუსტა. მომჩივანი ვერ იღებდა საჭირო მედიკამენტებს, პრეპარატების მიმართ მიუღებლობის გამო. მას არ შეეძლო არც სახლიდან გასვლა და არც საავადმყოფომდე ან სარეაბილიტაციო ცენტრამდე გადაადგილება, ვინაიდან აღნიშნული დარღვევების გამო, ფიზიკური დაზიანებების მიღების მაღალი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. რეაბილიტაციის ერთადერთი სახეობა, რომელსაც პროგრესირებადი დაავადების შეჩერება შეეძლო იყო ჰიდროთერაპია, რომელიც მომჩივნის მდგომარეობის გათვალისწინებით, პრაქტიკაში ხელმისაწვდომი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მის სახლში განთავსდებოდა გარე აუზი. 2009 წლის 7 დეკემბერს, მომჩივანმა შეიტანა განცხადება საცხოვრებელ სახლზე მიშენების ნებართვის მისაღებად. კერძოდ, მიშენება უნდა მომხდარიყო მომჩივნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დაახლოებით 63 კვადრატული მეტრის ფართობზე. გეგმის თანახმად, მიშენების ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 45 კვადრატული მეტრი) მოხვდებოდა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც მშენებლობა აკრძალულია. 2009 წლის 17 დეკემბერს, შვედეთის კონკრეტული ოლქის ადგილობრივმა კომიტეტმა, უარი თქვა ნებართვის გაცემაზე. მოქალაქის სარჩელი, ასევე, არ დაკმაყოფილდა სასამართლოშიც.

კომიტეტმა, აღნიშნულ საქმეზე დაადგინა დისკრიმინაცია, რადგან მიუხედავად შვედეთის კანონმდებლობის იმპრატიული მოთხოვნისა, შესაბამის ადგილზე მშენებლობის აკრძალვასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს საგამონაკლისო წესით უნდა განეხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თხოვნა, გაეთვალისწინებინა მისი საჭიროება და დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა. ამგვარი ქმედება, სწორედ რომ, სახელმწიფოს მხრიდან

[38] შეტყობინება No. 3/2011 კომიტეტის მიერ მე-7 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2012 წლის 16-27 აპრილი)

გონივრული მისადაგების პრინციპის რეალიზება იქნებოდა. კომიტეტის შეფასებით სახელმწიფოს უმოქმედობამ დაარღვია განმცხადებლის თანასწორობის უფლება.

დასკვნა

როგორც განხილულმა საქმეებმა აჩვენა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში, საქართველოს საერთო სასამართლოებში, შეიქმნა არაერთი პრეცედენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით. სასამართლომ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სტანდარტი დაადგინა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის მტკიცებისათვის, როგორც კერძო, ისე საჯაროსამართლებრივ დავებში. სასამართლომ განავითარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით ინდივიდუალიზებული მიდგომის, საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირების პარადიგმა. მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ფინანსური ტვირთის საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის დაკისრების შესახებ, რასაც ითვალისწინებს კიდეც კანონმდებლობა.

განსაკუთრებულ მოვლენად უნდა აღინიშნოს, საერთო სასამართლოების მხრიდან თანასწორობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განსამარტად, გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის გამოყენება, რაც, აღნიშნული საკითხის განხილვისას, ფაქტობრივად, ყველა გადაწყვეტილებაში გვხვდება. ეს, თავის მხრივ, პოზიტიურ მოლოდინს აჩენს კონვენციის პრაქტიკაში აღსრულების მომავალთან დაკავშირებით, სადაც წამყვანი როლი, სწორედ, ანტიდისკრიმინაციული საქმეების სასამართლო მართლმსაჯულების სისტემაში წარმოებას უნდა მიენიჭოს.

ანგარიშმა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის მნიშვნელოვან როლს დისკრიმინაციის დადგენის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფთან მიმართებით. როგორც საქმეების ანალიზმა ცხადყო, სახალხო დამცველის მიერ დადგენილი დისკრიმინაცია, ფაქტობრივად, ყველა საქმეში იქნა გაზიარებული. პირველმა, სწორედ სახალხო დამცველმა განმარტა და გააანალიზა საჯარო-სამართლებრივ დავებში **„გონივრული მისადაგებისა“** და **„ირიბი დისკრიმინაციის“** ცნებები და ამ მიმართულებით, შეძლო, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის იდენტიფიცირება.

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, ანგარიშის თანახმად, მნიშვნელოვან პრობლე-

მად რჩება არაერთი საკითხი, რომლის გადაჭრაც, აუცილებელია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტური აღსრულებისთვის.

ინფორმირებულობის პრობლემა: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა განსაკუთრებულად ხელშესახებია იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, ვისაც აღენიშნებათ მენტალური თუ ინტელექტუალური დარღვევა, რადგან კანონის მიღებიდან დღემდე, მათთვის ადაპტირებული ფორმით ინფორმაციის მიწოდება არ მომხდარა. მექანიზმის შესახებ ინფორმაციას, ასევე, არ ფლობს სენსორული შეზღუდვის მქონე პირთა უმრავლესობაც და ის პირები, ვინც სპეციალიზებულ დაწესებულებებში არიან მოთავსებულები (ფსიქიატრიული საავადმყოფოები, სახელმწიფო და კერძო პანსიონები).

თავის მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის ცნების, შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო, სოციალური და ადამიანის უფლებების მოდელის შესახებ, ინკლუზიური განათლების, რეაბილიტაციისა და აბილიტაციის სოციუმში ინკლუზიის უფლების შესახებ ინფორმაციის დეფიციტს განიცდიან, ასევე, მოსამართლეები და მართლმსაჯულების სექტორში დასაქმებული სხვა პირები. მათთვის, ხშირად, უცნობია, რა საჭიროებები აქვთ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს, როგორაა შესაძლებელი, დამოუკიდებლად და სრულფასოვნად იცხოვრონ ფსიქო-სოციალური საჭიროებისა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებმა რის გამოც, ურთულდებათ სარჩელის მოთხოვნების აღქმა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ჭრილში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და სახელმწიფოს ვალდებულებებზე ცხადად იკვეთება ინფორმაცის ნაკლებობა. აღნიშნული, საჯარო მმართველობის სფეროს პრობლემასაც წარმოადგენს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება: „გონივრული მისადაგების“ პრინციპის შესახებ საკანონმდებლო ჩანაწერის არარსებობა პრობლემას ქმნის დისკრიმინაციის სპეციალური ფორმების დადგენის კუთხით. საქართველოს კანონმდებლობა, კვლავაც, არ აკონკრეტებს მისაწვდომობის სტანდარტის სპეციფიკურობას სხვადასხვა სერვისთან მიმართებით. კვლავაც, გამოწვევად რჩება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ხარვეზები, რაც დაკავშირებულია სასამართლოსთვის მიმართვის მოკლე ვადასთან, სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე გავრცელებასთან და სახალხო დამცველის რეკომენდაციების აღსრულების ეფექტურ მექანიზმებთან დაკავშირებით. ქვეყანაში ჯერაც არ არის რატიფიცირებული გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მოთხოვნების ასახვა

სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებსა და პროგრამებში: მიუხედავად იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ფარგლებში, წარმატებით დასრულებული ყველა საქმე ინდივიდების დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმია, მნიშვნელოვანია, სასამართლო გადაწყვეტილებებმა, ასევე, გავლენა იქონიოს სახელმწიფოს პოლიტიკაზე, მათ შორის, თვითმმართველობების დონეზე. დისკრიმინაციული დარღვევა, რასაც თბილისის საკრებულოს დადგენილება შეიცავდა, მნიშვნელოვანი უნდა იყოს სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოებისთვის, რათა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სამომავლოდ, საქართველოს მუნიციპალიტეტებში იმავე საკითხზე დავა არ მოუწიოთ. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებით მიღწეული ცვლილებების სწრაფი და ეფექტური გავრცელება ქვეყნის მასშტაბით.

რეკომენდაციები:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანასწორობის უზრუნველსაყოფად და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, საჭიროა ცვლილებების განხორციელება შემდეგი მიმართულებით:

საქართველოს პარლამენტმა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანოს ცვლილება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფს მისაწვდომობას ყველა სახის სერვისსა თუ შენობა-ნაგებობაზე, და აღნიშნულს, აღიარებს თანასწორობის პრინციპის განხორციელების აუცილებელ პირობად;

5. საქართველოს პარლამენტმა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმადაც, „გონივრული მისადაგების“ პრინციპის გამოყენება განისაზღვრება, როგორც ვალდებულება, ხოლო, მისი გამოუყენებლობა შეფასდება, როგორც დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

6. საქართველოს პარლამენტმა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანოს ცვლილებები, რომელიც დისკრიმინაციის საქმეებზე გაზრდის სასამართლოსადმი მიმართვის ვადას, ხოლო, სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს მიანიჭებს მეტ ეფექტურობას კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით.

7. საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს კანონმდებლობაში შეიტანოს ცვლილება განსჯადობის საკითხის ეფექტური საკანონმდებლო მოწესრიგებისათვის.

8. საქართველოს პარლამენტმა მოახდინოს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართონ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს.

9. საქართველოს მთავრობამ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინკლუზიის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში შეიტანოს ცვლილებები, რაც გამოიწვევს საერთო სასამართლოებისა და სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის მიერ დადგენილი დისკრიმინაციის პრაქტიკის აღმოფხვრას მთელი ქვეყნის მასშტაბით, სექტორების შესაბამისად: განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და სხვა.

10. საქართველოს აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებამ უზრუნველყოს მათ მმართველობასა და სისტემაში დასაქმებული პირებისათვის საინფორმაციო

სემინარებისა და კამპანიის ჩატარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებების შესახებ.

11. საქართველოს სახალხო დამცველმა უზრუნველყოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მისაწვდომი ფორმით მიწოდება ფსიქო-სოციალური და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისთვის, უსინათლო და სმენის არმქონე პირებისთვის, ასევე, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონებსა და ინსტიტუციებში და შეზღუდული აქვთ გადაადგილება.